

ზოგიერთი სახელმწიფო გასაცემლის დარიგების/გაცემის მიზნით
საბანკო მომსახურების პირობების განსაზღვრის
უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეს,
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს,
ვიცე-პრემიერს
ლევან დავითაშვილს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ეკატერინე ტიკარაძეს

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ლევან გოგოძეს

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს
კობა გვენეტაძეს

ასლი: სს „ლიბერთი ბანკის“
გენერალურ დირექტორს
ვასილ ხოდელს

ზოგადი წინადადება

დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება გ. ო.-ს N4455/21 განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც განმცხადებელი ითხოვს სოციალური კუთვნილების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის საკითხის შესწავლას.

1. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი არის დევნილის სტატუსის მქონე პირი, რომელზეც 2021 წლის 10 აპრილს სს „ლიბერთი ბანკმა“ გასცა სოციალური სესხი 568 ლარის ოდენობით, 30.69%-იანი საპროცენტო განაკვეთით. სესხის დაფარვის თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 28 მარტი, ყოველთვიურად

გადასახდელ თანხად კი - 20.70 ლ. ამდენად, სესხის ვადა შეადგენს 48 კალენდარულ თვეს, რომლის განმავლობაშიც მსესხებლის მხრიდან დასაფარი თანხა, ჯამურად, 993.60 ლარს უტოლდება.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ სს „ლიბერთი ბანკი“ წარმოადგენს ერთადერთ კომერციულ ბანკს, რომელიც სხვადასხვა სახის სახელმწიფო გასაცემელს გასცემს და, შესაბამისად, შესაძლებლობას აძლევს მომხმარებლებს, სესხი შესაბამისი შემწეობის გათვალისწინებით გამოიტანოს. განმცხადებლის მოსაზრებით, ამგვარი მოცემულობა ბანკს კაბალური პირობების დაწესების შესაძლებლობას აძლევს, რაც მომხმარებლების რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. კერძოდ, სესხის ყოველთვიური შენატანი მძიმე ტვირთად აწვებათ დევნილებს, რომელთაც რამდენიმე წლის განმავლობაში დევნილთა შემწეობის (45 ლარი) თითქმის ნახევრით უწევთ სესხის დაფარვა მაშინ, როცა შემწეობას იღებენ მხოლოდ დაბალი შემოსავლის მქონე დევნილები, ხოლო, თავად შემწეობა თითქმის ხუთჯერ ჩამორჩება საარსებო მინიმუმს.

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სახეზეა ბანკის სხვა კლიენტებისთვის და იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებისთვის სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსხვავებული პირობების დაწესება, რაც განპირობებულია სოციალური კუთვნილების ნიშნით. კერძოდ, განცხადებაში აღნიშნულია, რომ სამომხმარებლო სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი ლარში 11.85%-დან, ხოლო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 15.78%-დან იწყება. ამასთან, განმცხადებელი ხაზს უსვამს, ერთი მხრივ, კომერციული ბანკის ვალდებულებას, თავისი საქმიანობა და პოლიტიკა განახორციელოს არადისკრიმინაციულად, მათ შორის, საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისას გაითვალისწინოს სახელმწიფოს მიერ აღიარებული განსაკუთრებული სოციალური და სამართლებრივი სტატუსის მქონე ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებები, ხოლო, მეორე მხრივ - სახელმწიფოს ვალდებულებას, სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს საბანკო სექტორზე.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა რამდენჯერმე გამოითხოვა ინფორმაცია სს „ლიბერთი ბანკიდან“¹ გარდა ამისა, აპარატის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს სს „ლიბერთი ბანკისა“ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებთან.

სს „ლიბერთი ბანკის“ წერილობითი კორესპონდენციებით² სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ დეტალური ინფორმაცია სამომხმარებლო სესხებისა და სოციალური სესხების მომსახურების პირობებთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე. ამასთან, სოციალური დაკრედიტების პროდუქტებზე - სესხის/ოვერდრაფტის წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება 30.69%-ით. ბანკის მითითებით, აღნიშნული ნიშნული საბაზროზე მნიშვნელოვნად ნაკლებიცაა. კერძოდ, სოციალური თუ სხვა სახის სარგოს მიმღებ პირებზე გაცემული სესხის

¹ სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 4 მაისის N13-3/4191 წერილი; სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 9 ივნისის N04-3/5499 წერილი.

² სს „ლიბერთი ბანკის“ 2021 წლის 21 მაისის N0108/022104720 წერილი; სს „ლიბერთი ბანკის“ 2021 წლის 3 აგვისტოს N01080/02217 წერილი.

საშუალო თანხა 1000 ლარის ფარგლებშია. ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, საბანკო სექტორის მიერ ამ მოცულობის (0-დან 1000 ლარამდე) არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების კატეგორიაში, ფიზიკურ პირებზე ლარში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 26.8%-ს შეადგენს.³ ამდენად, „ლიბერთი ბანკის“ სესხების ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 3.89%-ით მეტია, ვიდრე - მთლიანი საბანკო სექტორის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი.

ამ კუთხით, ბანკი ხაზს უსვამს, რომ 60 წელზე ნაკლები ასაკის ადამიანების გარდაცვალების რისკი 0.3%-ზე ნაკლებია, ხოლო, 60 წელზე მეტი ასაკის შემთხვევაში, გასაშუალოებული 5%-ის ფარგლებშია. შესაბამისად, აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის სხვაობა წარმოადგენს სესხის დაფარვის რისკის სხვაობასაც. გარდა ამისა, „ლიბერთი ბანკის“ აღნიშნულ მომხმარებლებს სესხის პროცენტის გარდა, რაიმე სხვა საკომისიოს დაფარვა არ უწევთ. სხვა მომხმარებლებს კი, იგივე კატეგორიის სესხებზე შესაძლოა დამატებით მოუწიოთ სხვადასხვა ტიპის საკომისიოს გადახდა, მაგალითად: სესხის გაცემის საკომისიო (უხეშად, სესხის თანხის 2%-ის ოდენობით), სიცოცხლის დაზღვევის საკომისიო (2-დან 5 ლარამდე, ყოველთვიურად), ანგარიშის მომსახურების საკომისიო (საშუალოდ 1.5 ლარი, ყოველთვიურად). ამდენად, საბანკო სექტორის საშუალო ნომინალური საპროცენტო განაკვეთისა და ყველა ზემოაღნიშნული ხარჯის დაჯამებით, რეალური მინიმალური განაკვეთი (IRR) შეიძლება 39%-იც კი გამოვიდეს, რაც თითქმის 8%-ით აღემატება „ლიბერთი ბანკის“ რეალურ განაკვეთს.

2. სამართლებრივი შეფასება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც შეისწავლის დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს ან ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ამავე კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ყველა ქმედება ყველა სფეროში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით.

კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას გამოსცემს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის წახალისებას, უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გაძლიერების ან ისეთი გარემოს შექმნის ხელშეწყობას, რომელმაც, შესაძლოა, მომავალში გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების თუ ჯგუფების უფლებების შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძველით.

2.1. სოციალური სესხის არსი

თანასწორობის ჭრილში საკითხის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ შეთავაზებული სოციალური სესხების რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებლის გათვალისწინება.

³ 2021 წლის ივლისის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/6zfiww> >.

ოვერდრაფტთან და კრედიტთან დაკავშირებული მომსახურებას ითვალისწინებს სოციალური სარგოს მიმღები პირის საბანკო ანგარიშის მომსახურების პირობები.⁴ შესაბამისი მომსახურების ფარგლებში, ბანკი გასცემს კრედიტის თანხას, თანხის კლიენტის ანგარიშზე ასახვის/ჩარიცხვის გზით (პუნ.11.10). **კრედიტის დაფარვა ხორციელდება კლიენტის ანგარიშზე ყოველთვიურად ჩარიცხული იმ ტიპის სოციალური სარგოს თანხიდან, რომლის გათვალისწინებითაც მოხდა კრედიტის გაცემა** (პუნ. 11.20). ტერმინთა განმარტების თანახმად, კლიენტს წარმოადგენს სოციალური გასაცემლის მიმღები ფიზიკური პირი (პუნ. 1.1.27). სოციალური სარგო ან სოციალური გასაცემელი კი განიმარტება, როგორც უფლებამოსილი პირების მიერ კლიენტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული ფულადი სახსრები, მათ შორის, **სახელმწიფო პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა ან/და სხვა სახის სოციალური გასაცემელი** (პუნ. 1.1.1).

ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში კლიენტი ვალდებულია: საბანკო ოპერაციები აწარმოოს და სოციალური სარგო მიიღოს მხოლოდ [ლიბერთი] ბანკში გახსნილ ანგარიშზე. ოვერდრაფტის ან/და კრედიტის ხელშეკრულების დადებით კლიენტი ბანკს აძლევს წინასწარ, უპირობო და გამოუთხოვად უფლებას, რომ ოვერდრაფტის ან/და კრედიტის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კლიენტის მიერ ნებისმიერი სოციალური სარგოს მიღების მიზნით სხვა კომერციულ ბანკში საბანკო ანგარიშის გახსნის შემთხვევაში, კლიენტისათვის წინასწარი შეტყობინების და დამატებითი ნებართვის გარეშე, მიმართოს ასეთ კომერციულ ბანკს და კლიენტის სახელით ჩართოს ავტომატური გადარიცხვების სერვისი ან სხვაგვარად მიმართოს კლიენტის ასეთ ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხები ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოვერდრაფტის ან/და კრედიტის, პირგასამტეხლო(ები)ს ან/და კლიენტზე დაკისრებული ნებისმიერი სხვა გადასახდელ(ებ)ის სრულად დასაფარად (პუნ. 11.9).

ამდენად, **სოციალური სესხი წარმოადგენს სს „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებას, რომელიც გაიცემა სოციალური გასაცემლის გათვალისწინებით და რომლის დაფარვის წყაროსაც მომხმარებლის ანგარიშზე ყოველთვიურად ჩარიცხული გასაცემელი წარმოადგენს.**

თავის მხრივ, სოციალური გასაცემლის გათვალისწინების შესაძლებლობას ბანკს აძლევს ფულადი გასაცემლების გაცემის/დარიცხვის უსასყიდლო საბანკო მომსახურების თაობაზე მასსა და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს სააგენტოს მიერ ბანკისთვის ფულადი გასაცემლის ჩარიცხვა და ბანკის მიერ ბენეფიციარებისათვის ფულადი გასაცემლის გაცემისთვის/დარიცხვისთვის საჭირო შესაბამისი საბანკო მომსახურების გაწევა. ხელშეკრულების თანახმად, მომსახურების გაწევას ბანკი უზრუნველყოფს უსასყიდლოდ (პუნ. 3.2).

2.2. სოციალური სესხის მომხმარებლები

ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების ფარგლებში, ფულადი გასაცემელი განიმარტება, როგორც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გასაცემი ფულადი სახის გასაცემლები, მათ შორის,

⁴ ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/nyoa3j> >.

სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, სოციალური პაკეტი, ფულადი სახის სოციალური დახმარება - საარსებო შემწეობა, დევნილთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ფულადი დახმარება, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარება და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და/ან შემდგომში არსებული ჩამოთვლილი გასაცემლების შემცვლელი გასაცემელი, რომელიც ავტომატურად მოექცევა წინამდებარე ხელშეკრულების რეგულირების ფარგლებში (პუნ. 2.6).

განსახილველი საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ზემოაღნიშნული ფულადი გასაცემლების მიმღებ პირთა უფლებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების თანახმად, სააგენტოს მიზნებია მოსახლეობის **სოციალური დაცვის სფეროში** სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა.⁵ ამასთან, მისი ფუნქციები მოიცავს იმგვარი უფლებამოსილებების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს **ქვეყანაში სიღატაკის შემცირებასა და მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას**.⁶

ამდენად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლით განმტკიცებული **სოციალური სახელმწიფოს პრინციპის** შემადგენელი ნაწილია: ზრუნვა საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე; ზრუნვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე; ზრუნვა ადამიანის სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, მისი ვიწრო გაგების შემთხვევაშიც კი, მოიაზრებს სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებისთვის **კეთილდღეობის არსებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და ღირსეული სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობების შექმნას**, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მომსახურების შეთავაზებისა და სოციალური ფულადი დახმარების გაცემის გზით.⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მითითებით, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, უპირველესად, უსაფრთხოების, ადამიანის ღირსების და თავისუფლების შენარჩუნებას ემსახურება; *არსებობს საერთო შეთანხმება ამ პრინციპის რეალიზაციისთვის უკიდურესად აუცილებელი და საბაზისო ღონისძიებების პირველ რიგში გატარების აუცილებლობაზე, როგორცაა: 1) სოციალური უფლებების კანონმდებლობით აღიარება, 2)*

⁵ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანება, მუხ. 1, პუნ. 1.

⁶ იქვე, მუხ. 2, პუნ. 2.

⁷ ნაცვლიშვილი ვ., ღვინიაძე ლ., ერისთავი კ., ქაშაკაშვილი ნ., „სოციალური უფლებების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი (ზოგადი ნაწილი)“, სამეცნიერო ჟურნალი „აკადემიური მაცნე“, 2017 წლის სპეციალური გამოცემა, გვ. 116; ცხადაძე თ., „კონსტიტუცია და სოციალური სამართლიანობა: სოციალური სახელმწიფოს დეკლარირებული პრინციპის შინაარსის ძიებაში“, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ვ. ნაცვლიშვილის და დ. ზედელაშვილის რედაქტორობით, 2016, გვ. 195.

ადამიანის უზრუნველყოფისა და სიღარიბის შემთხვევაში მისი ელემენტარული საარსებო (სასიცოცხლო) საშუალებებით უზრუნველყოფა.⁸

შესაბამისად, სოციალური სესხის მომხმარებლებს წარმოადგენენ იმ ფულადი გასაცემლების მიმღები პირები, რომელთა ძირითადი დანიშნულება ბენეფიციარების ღირსეული სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, მათი ელემენტარული საარსებო (სასიცოცხლო) საშუალებებით უზრუნველყოფაა. მაგალითისთვის, *სოციალური დახმარების* მიღების უფლების წარმოშობა დაკავშირებულია პირის მიძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასთან და ამ მდგომარეობიდან წარმოშობილ საჭიროებებთან;⁹ *საარსებო შემწეობა* განკუთვნილია ლატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაუმჯობესებისათვის, რომელთა რიცხვში მოიაზრებიან პირები, რომლებსაც ელემენტარული საარსებო საშუალებები არ გააჩნიათ და რომელთა ფიზიკური არსებობა რეალური საფრთხის წინაშე დგას;¹⁰ *საყოფაცხოვრებო სუბსიდია* განკუთვნილია სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად,¹¹ საჭიროებების, რომლებიც ადამიანისთვის სასიცოცხლო სიკეთეებს მიეკუთვნება;¹² *სოციალური პაკეტი* ენიშნებათ, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, თავდაცვის ძალების ვეტერანებს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა ოჯახის წევრებს.¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ამ უკანასკნელთა უმეტესობა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილ პირებს წარმოადგენენ და საქმე გვაქვს იმ მოქალაქეებთან, რომელთა სოციალური მდგომარეობა სახელმწიფოს განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ისევე, როგორც ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შემთხვევაში, რომელთა სოციალური მდგომარეობა, ძირითადად, სახელმწიფო უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული, ვინაიდან ისინი მოკლებულნი არიან თვითუზრუნველყოფის შესაძლებლობას;¹⁴ *დევნილთა სტატუსის მქონე პირთა შემწეობასთან*

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქეთევან ერემაძის და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი, პარ. 9.

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის N2/3/663 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II, პარ. 36.

¹⁰ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 7, პუნ. 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქეთევან ერემაძის და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი, პარ. 12.

¹¹ „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის N4 დადგენილება, მუხ. 2.

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის N1/1/136 გადაწყვეტილება საქმეზე: „მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, პარ. 8.

¹³ „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილება, მუხ. 5. პუნ. 1.

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის N1/1/126,129,158 გადაწყვეტილება საქმეზე: „(1) ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანიძე, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და ლევან

დაკავშირებით დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ: „შეიარაღებული კონფლიქტი ართმევს პირებს ნორმალური ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობას. ომი წარმოშობს აურაცხელ დანაკარგს, რაც მოიცავს ინდივიდის ფიზიკურ, მორალურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ, სოციალურ, ეკონომიკურ კეთილდღეობას. ომისა და აგრესიის, ქვეყნის ოკუპაციის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებისთვის მათი უფლებების უმრავლესობით სარგებლობის საკითხი თავისთავად დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, ისევე, როგორც არაერთი ფუნდამენტური უფლების დარღვევა მათი მდგომარეობის გარდაუვალი შედეგია. ამიტომ ეს პირები განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს განეკუთვნებიან და სახელმწიფოს მხრიდან სპეციალურ დაცვას საჭიროებენ“;¹⁵ გასათვალისწინებელია ისიც, რომ დევნილთა შემწეობა გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომელთა დასახეერი შემოსავალი თვეში 1250 ლარზე ნაკლებს შეადგენს;¹⁶ რაც შეეხება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათი უმრავლესობა საქართველოში საპენსიო ასაკის არის. ამასთან, ოჯახების, რომლებშიც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, სიღარიბის მაჩვენებელი 32%-დან 42%-მდე იზრდება.¹⁷

როგორც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთან შეხვედრის დროს სს „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, მასსა და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული საბანკო მომსახურების მიმღებთა დიდ უმრავლესობას ხანდაზმული ბენეფიციარები წარმოადგენენ. აუცილებელია, ხაზი გაესვას, რომ საქართველოში პენსიონერთა დიდი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობს; ასაკის ნიშნით დანიშნული პენსიის მიზანი არა ხანდაზმულთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა, არამედ უკიდურესი სიღარიბისგან დაცვაა - პენსიის ოდენობა ვერ უზრუნველყოფს ხანდაზმულთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, მედიკამენტების შეძენასთან, კვებით მოთხოვნილებებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.¹⁸ სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს ხანდაზმულთა მიმართ არსებულ ისეთ გამოწვევებზე, როგორებიცაა, მათ შორის, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და საცხოვრებელი პირობები, სიღარიბისა და უსახლკარობის საფრთხე.¹⁹

სხვადასხვა დროს მედია საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციით ნათელია, რომ მომხმარებლები სოციალურ სესხებს, ძირითადად, სწორედ იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტების შესაძენად იყენებენ, რომელთათვისაც სხვადასხვა სახელმწიფო გასაცემელი

ქვაცბაია, (2) ვლადიმერ დობორჯგინიძე, ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა ჰაპიაშვილი, (3) გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 29.

¹⁶ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 11, პუნ. 2 („ე“).

¹⁷ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, ხელმისაწვდომია: <<https://rb.gy/xvri3t>>.

¹⁸ ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2020, გვ. 19.

¹⁹ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 402.

საკმარისი არ არის. ესენია: მედიკამენტები, შეშა, სურსათი და სხვა საარსებო საშუალებები.²⁰ აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სოციალური თუ სხვა სახის სარგოს მიმღებ პირებზე გაცემული სესხის საშუალო თანხა 1000 ლარის ფარგლებშია, რაც, ბუნებრივია, ვერ იქნება მიმართული ფუფუნების საგნების შესაძენად. მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც მედიკამენტებსა და სათანადო კვებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა საქართველოსთვის აღიარებულ გამოწვევებს წარმოადგენს.²¹

2.3. სოციალური სესხის საპროცენტო განაკვეთი თანასწორობის პრინციპის ჭრილში

ზემოთ ხსენებულის ფონზე, როგორც განსახილველი საქმის ფარგლებში გამოვლინდა, სოციალური სესხის მომხმარებლებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მათი საარსებო საშუალებებისთვის გამიზნული სახელმწიფო გასაცემლების არცთუ მცირე ნაწილით უწევთ სესხის დაფარვა. ამავდროულად, სესხის ვადის განმავლობაში **ჯამურად გადასახდელი თანხა** (მოცემულ შემთხვევაში, 993.60 ლარი - ძირი და პროცენტი) **სესხის სახით მიღებულ თანხას** (მოცემულ შემთხვევაში, 568 ლარი) დაახლოებით **75%-ით აღემატება**.

სს „ლიბერთი ბანკი“ არ იზიარებს განმცხადებლის მითითებას, რომ სახეზეა ბანკის სხვა კლიენტებისთვის და სახელმწიფო გასაცემლის მიმღები პირებისთვის სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსხვავებული პირობების დაწესება - სოციალური სესხისგან განსხვავებით, სამომხმარებლო სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი ლარში 11.85%-დან იწყება. მოპასუხე აღნიშნავს, რომ საპროცენტო განაკვეთები სესხის მოცულობის მიხედვით განსხვავდება. კერძოდ, რაც უფრო მეტია სესხის თანხა, მით უფრო დაბალია პროცენტი, ვინაიდან მცირე ზომის სესხებზე გაცილებით მაღალია დისტრიბუციის ხარჯი. აღნიშნულის დასადასტურებლად, სს „ლიბერთი ბანკი“ მიუთითებს ეროვნული ბანკის მონაცემებზე: საპროცენტო განაკვეთები სესხებზე მოცულობის რანჟირების მიხედვით.²² შესაბამისი მაჩვენებლების მიხედვით, 2-დან 5 წლის ჩათვლით ვადიანობის მქონე სამომხმარებლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2021 წლის სექტემბრის მონაცემებით შემდეგნაირად ნაწილდება: 0-დან 1000 ლარამდე ოდენობის სესხებზე 25.52%, 1000-დან 5000 ლარამდე ოდენობის სესხებზე - 23.42%, 5000 ლარიდან 25000 ლარამდე ოდენობის სესხებზე - 18.58%, 25000-დან 100000 ლარამდე ოდენობის სესხებზე - 15.95%, 100000-დან 1000000 ლარამდე ოდენობის სესხებზე - 12.66% და 1000000 ლარზე მეტი ოდენობის სესხებზე 12.80%. ამდენად, ის გარემოება, რომ სს „ლიბერთი ბანკის“ ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი სესხის პირობების თანახმად, სამომხმარებლო სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი ლარში 11.85%-დან განისაზღვრება,²³ აპრიორი არ გულისხმობს, რომ, მაგალითად, 568 ლარის ოდენობის სესხით სარგებლობის შემთხვევაში ბანკის სხვა კლიენტებისთვის საპროცენტო განაკვეთი სწორედ აღნიშნული ნიშნის ფარგლებში დაწესდებოდა და, შედეგად, განმცხადებლისთვის, როგორც

²⁰ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/nrib84> >; < <https://netgazeti.ge/news/385391/> >; < <https://rb.gy/giqpsr> >.

²¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 283-285, 291; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 292-294, 302-303.

²² ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/6zfiww> >.

²³ ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/vbbxgz> >.

სოციალური სესხის მომხმარებლისთვის, დადგენილი საპროცენტო განაკვეთი 18.84%-ით აღემატებოდა სამომხმარებლო სესხის მომხმარებლისთვის განსაზღვრულ მონაცემს. სესხი მოექცეოდა 0-დან 1000 ლარამდე მოცულობის სესხების კატეგორიაში, რომელზეც საპროცენტო განაკვეთი ქვეყნის მასშტაბით საშუალოდ 25%-ის ფარგლებში მერყეობს. გარდა ამისა, მოპასუხის მითითებით, სხვა მომხმარებლებს შესაძლოა დამატებით მოუწიოთ სხვადასხვა ტიპის საკომისიოს გადახდა, რომელთა დაჯამებით, რეალური მინიმალური განაკვეთი (IRR) შეიძლება 39%-იც კი გამოვიდეს.

თუმცა, მაშინაც კი, თუ სს „ლიბერტი ბანკის“ ხელმძღვანელობის მითითების შესაბამისად, სოციალური სესხების შემთხვევაში სახეუა საბაზრო საპროცენტო განაკვეთი (30.69%-ის სახით),²⁴ სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ პირთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა არ გამოირიცხება, ვინაიდან უფლება, არ იყო დისკრიმინირებული ადამიანის გარანტირებული უფლებებით სარგებლობისას ირღვევა, მათ შორის, მაშინ, როდესაც, ლეგიტიმური მიზნისა და გონივრული გამართლების გარეშე, განსხვავებულად არ ეპყრობიან ადამიანებს, რომელთა სიტუაციებიც არსებითად განსხვავებულია.²⁵

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით გარანტირებული თანასწორობის უფლება „არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობის განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს - პირიქით.“²⁶

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნულ პრინციპს ეხმიანება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ სოციალური

²⁴ სს „ლიბერტი ბანკის“ გენერალური დირექტორის განმარტება ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/r07uq8> >.

²⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: *THLIMMENOS v. GREECE*, პარ. 44.

²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II, პარ. 2.

მომსახურების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი სოციალური დაცვის სისტემა. სააგენტო, დაკისრებული მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებისას, ხელმძღვანელობს, მათ შორის, სოციალური დახმარების სფეროში ადამიანის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის უზრუნველყოფისა და დისკრიმინაციის გამორიცხვის პრინციპებით.²⁷ ამასთან, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება ნებისმიერი ღონისძიება, გამიზნული იმ პირთა განსაკუთრებულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც, მათ შორის, სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობენ განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების გასაწევ პირებად.²⁸

სოციალური დაცვის სფეროში გარანტირებულია **სოციალური უზრუნველყოფის უფლება**,²⁹ რომელსაც ცენტრალური მნიშვნელობა გააჩნია ყველა ადამიანის ღირსების გარანტირებისთვის, როდესაც ისინი აღმოჩნდებიან იმგვარი გარემოებების წინაშე, რომლებიც მათ შესაძლებლობას ართმევს, სრულად განახორციელონ სოციალური და ეკონომიკური უფლებები.³⁰ სწორედ აღნიშნული უფლება მოიცავს სოციალური დაცვისკენ გამიზნული ამა თუ იმ დახმარების მიღების უფლებას.³¹ სოციალური უზრუნველყოფა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიღარიბის შემცირებასა და სოციალური გარიყულობის პრევენციაში.³² გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მითითებით, ფულადი და სხვა სახის ნებისმიერი დახმარება უნდა იყოს ადეკვატური ოდენობისა და ხანგრძლივობის, რათა ყველამ შეძლოს ისეთი უფლებებით სარგებლობა, როგორებიცაა, მათ შორის, უფლება ცხოვრების სათანადო დონეზე³³ და ჯანმრთელობის დაცვის უფლება^{34,35} კომიტეტი ხაზს უსვამს სახელმწიფოს ვალდებულებას, სრულად უზრუნველყოს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი იმგვარად, რომ **გამოირიცხოს ნებისმიერი უარყოფითი ეფექტი** დახმარების ხარისხზე და მათი მიწოდების ფორმებზე.³⁶ ამასთან, უნდა ხორციელდებოდეს ადეკვატურობის კრიტერიუმის მუდმივი მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ბენეფიციარებს ხელი მიუწვდებოდეთ თავიანთი უფლებებით სარგებლობისთვის საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე.³⁷

²⁷ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანება, მუხ. 2, პუნ. 4 („ა“, „ბ“).

²⁸ იქვე.

²⁹ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 9; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხ. 22; ევროპის სოციალური ქარტია, მუხ. 12, 13.

³⁰ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N19 (2007), სოციალური უზრუნველყოფის უფლება, E/C.12/GC/19, პარ. 1.

³¹ იქვე, პარ. 2.

³² იქვე, პარ. 3.

³³ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 11.

³⁴ იქვე, მუხ. 12.

³⁵ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N19 (2007), სოციალური უზრუნველყოფის უფლება, E/C.12/GC/19, პარ. 22.

³⁶ იქვე.

³⁷ იქვე.

აღსანიშნავია, რომ უფლება ცხოვრების სათანადო დონეზე მოიცავს უფლებას სათანადო საცხოვრებელზე, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კვებისთვის აუცილებელი საშუალებებით, მათ შორის - სასმელი წყლით, სინათლითა და გათბობით და სხვ.³⁸ ამასთან, შესაბამისი სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რისთვისაც სახელმწიფომ უნდა დანერგოს საყოფაცხოვრებო სუბსიდიები.³⁹ ხსენებული უფლება, ასევე, მოიცავს უფლებას სათანადო კვებაზე, რომელიც უნდა იყოს ეკონომიკურად ხელმისაწვდომი, რისთვისაც მოსახლეობის განსაკუთრებულად დარიბ სეგმენტებს შესაძლოა სჭირდებოდეთ ყურადღება სპეციალური პროგრამების მეშვეობით.⁴⁰ სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობისთვის განსაკუთრებით ძნელად მისაწვდომ პერსპექტივას წარმოადგენს, აგრეთვე, ჯანმრთელობის უფლების სათანადო რეალიზაცია.⁴¹ ამ კუთხით, ზემოთ უკვე გაესვა ხაზი მედიკამენტების ხელმისაწვდომობის პრობლემას.

განსახილველ შემთხვევაში, სოციალური სესხის არსებული პირობების შედეგად, სახელმწიფო გასაცემლების მიმღები პირები შესაბამის დახმარებებს იღებენ **დანაკლისით** (ვინაიდან კრედიტის დაფარვა ხორციელდება მათ ანგარიშზე ყოველთვიურად ჩარიცხული სოციალური სარგოს თანხიდან). ამავდროულად, საპროცენტო განაკვეთის ოდენობიდან გამომდინარე, შექმნილი მოცემულობა გრძელდება **ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში** (ხშირად, რამდენიმე წელიც), ვინაიდან მომხმარებლები ვალდებულნი არიან სესხის სახით აღებული თანხის ოდენობასთან ერთად, **დამატებით** დააბრუნონ ამ თანხის **3/4 ნაწილი** (დაახლოებით 75%).

სს „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენელთა განმარტებებიდან ნათელია, რომ სასესხო ურთიერთობებში საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა სოციალური სესხის მომხმარებლებისთვის ხდება იმავე ფაქტორების გათვალისწინებით, როგორც სხვა შემთხვევებში, მეტწილად - რისკიანობა და ფინანსური ხარჯები. მართალია, სახალხო დამცველის აპარატისადმი წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებაში მოპასუხე მიუთითებს, რომ 30.69% საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე მნიშვნელოვნად ნაკლებია და, ამ კუთხით, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სოციალური სესხის მომხმარებლებს არ უწევთ სხვადასხვა ტიპის საკომისიოს გადახდა, რაც სხვა მომხმარებლების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად ზრდის რეალურ საპროცენტო განაკვეთს. თუმცა, სს „ლიბერთი ბანკის“ გენერალური დირექტორის განმარტებით, 30.69%-ში შედის, მათ შორის, საკომისიოების ღირებულებაც.⁴² იქვე, იგი მიუთითებს, რომ ეს არის საბაზრო განაკვეთი. მსგავსად, ბანკის წარმომადგენელმაც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთან შეხვედრის დროს აღნიშნა, რომ შესაბამისი ნიშნულის განსაზღვრა ხდება ფასწარმოქმნიდან გამომდინარე (რესურსის

³⁸ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N4 (1991), უფლება სათანადო საცხოვრებელზე, 13/12/91, პარ. 8 (b).

³⁹ იქვე, პარ. 8 (c).

⁴⁰ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N12 (1999), უფლება სათანადო კვებაზე, E/C.12/1999/5, პარ. 13.

⁴¹ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N14 (2000), უფლება ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე, E/C.12/2000/4, პარ. 5.

⁴² სს „ლიბერთი ბანკის“ გენერალური დირექტორის განმარტება ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/r07uq8> >.

ღირებულება, ბანკის დანახარჯები, რისკის ფასი), რაც არ არის კავშირში მომხმარებლის ასაკთან, შემოსავალთან თუ სხვა მახასიათებლებთან. ამ მხრივ, ბანკის მიდგომა - ფასწარმოქმნის პრინციპი თანაბრად შეფასდა როგორც სოციალური, ისე სხვა სესხების შემთხვევებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მომსახურების გამწევი ბანკის მხრიდან მის მიერ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრის პრაქტიკა, მათი გამოთვლისას გათვალისწინებული ფაქტორები სტანდარტულია და აღნიშნულ პროცესში **მხედველობაში არ მიიღება სოციალური სესხისა და სხვა სესხების მომხმარებელთა განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა**, რის შედეგადაც, სახელმწიფო გასაცემლების მიმღები პირები, ფაქტობრივად, თანაბარ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი სხვა მომხმარებლებთან მიმართებით, მაშინ, როცა ისინი არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში მყოფ პირებს წარმოადგენენ. კერძოდ, სოციალური სესხების მომხმარებლები წარმოადგენენ მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომელსაც, სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ესაჭიროება განსაკუთრებული დაცვა და დახმარება, ელემენტარული საარსებო (სასიცოცხლო) საშუალებებით უზრუნველყოფა. ამავდროულად, არსებული მოცემულობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს კეთილდღეობის არსებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და ღირსეული სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობების შექმნისთვის გამიზნული დახმარებების ხარისხზე (როგორც ზემოთ აღნიშნა, საპროცენტო განაკვეთის ოდენობიდან გამომდინარე, დახმარებების დანაკლისით მიღება გრძელდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში). ეს კი, თავის მხრივ, სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ პირებს კიდევ უფრო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს სოციალურ-ეკონომიკური უფლებებით, მათ შორის, ისეთი უფლებებით სარგებლობისას, როგორებიცაა უფლება ცხოვრების სათანადო დონეზე და ჯანმრთელობის უფლება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ არაპირდაპირი დისკრიმინაციის დადგენისთვის არ არის აუცილებელი, კონკრეტული მახასიათებლის მქონე ყველა ადამიანი აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა.⁴³ შესაბამისად, ზემოთ მოცემულ შეფასებაზე ზეგავლენას ვერ მოახდენს ისეთი შემთხვევების არსებობა, როდესაც ამა თუ იმ სახელმწიფო გასაცემლის მიმღები ესა თუ ისე პირი არ იმყოფება განსაკუთრებით მოწყვლად სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში, ვინაიდან ბენეფიციართა ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც 2.2 ქვეთავშია წარმოდგენილი, თვალნათელია ის პრობლემები, რომლებთან გამკლავებაც მათ უდიდეს უმრავლესობას უწევს.

ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა სასესხო ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის, სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოციალური უზრუნველყოფის უფლება სახელმწიფოს აკისრებს, მათ შორის, **დაცვის ვალდებულებას**, რაც მოითხოვს მესამე პირთა მხრიდან აღნიშნული უფლებით სარგებლობაში ხელშეშლის თავიდან აცილებისთვის აუცილებელი

⁴³ დისკრიმინაციის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, 2018, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/nnebsm> >, გვ. 58.

ეფექტური ღონისძიებების გატარებას.⁴⁴ მსგავს მიდგომას იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც, რომლის განმარტებითაც: „სახელმწიფო არამართო მაშინაა ვალდებული დაიცვას მოქალაქეთა სოციალური უფლებები, როცა ამა თუ იმ მომსახურებას უშუალოდ თვითონ ახორციელებს, არამედ მაშინაც, როდესაც ეს მომსახურება კერძო პირთა ხელშია.“⁴⁵ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალური სესხების გაცემის შესაძლებლობას ბანკს აძლევს ფულადი გასაცემლების გაცემის/დარიგების უსასყიდლო საბანკო მომსახურების თაობაზე მასსა და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს ბენეფიციარებისათვის მათი სოციალური დაცვისკენ გამიზნული ფულადი გასაცემლის გაცემისთვის/დარიგებისთვის საჭირო შესაბამისი საბანკო მომსახურების გაწევა. სოციალური სესხებისთვის განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი კი, პირდაპირ აისახება შესაბამისი გასაცემლების ფაქტობრივად მისაღებ ოდენობაზე და ბენეფიციართა მხრიდან სოციალურ-ეკონომიკური უფლებებით სარგებლობაზე.

დასკვნა

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ განსაკუთრებულ როლს სოციალური დაცვის სფეროში; ასევე - საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებებს საფინანსო სექტორის ზედამხედველობის თავლსაზრისით, რომლის ფარგლებშიც, მისი ამოცანაა, მათ შორის, მომხმარებელთა უფლებების დაცვა⁴⁶; და თითოეული მათგანის ჩართულობაზე ზოგიერთი სახელმწიფო გასაცემლის დარიგების/გაცემის მიზნით საბანკო მომსახურების პირობების განსაზღვრის უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობაში.

სახალხო დამცველი ითვალისწინებს, რომ სოციალური სესხების საპროცენტო განაკვეთის შემცირების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, შესაძლოა, საჭიროებდეს შესაბამისი საბიუჯეტო რესურსების გამოყოფას. თუმცა, *ამოწურვადი სახელმწიფო რესურსი, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტია, პირველ რიგში, ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტურ რეალიზაციას უნდა მოხმარდეს.*⁴⁷ საბიუჯეტო მოსაზრებებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს სახელმწიფოთა მიერ სოციალური პოლიტიკის არჩევანზე და სოციალური დაცვის ღონისძიებების მასშტაბზე, თუმცა, მსგავსი წუხილები, ცალკე აღებული, არ წარმოადგენს აღნიშნული პოლიტიკის მიზანს და,

⁴⁴ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N19 (2007), სოციალური უზრუნველყოფის უფლება, E/C.12/GC/19, პარ. 45.

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის N1/1/126,129,158 გადაწყვეტილება საქმეზე: „(1) ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანდიშვილი, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და ლევან ქვაცბაია, (2) ვლადიმერ დობორჯგინიძე, ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა პაპიაშვილი, (3) გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, V.

⁴⁶ „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 47.

⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე: „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 26.

შესაბამისად, ვერ გაამართლებს დისკრიმინაციას.⁴⁸ ამასთან, შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების პროგრესული რეალიზების პრინციპთან ერთად, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი სახელმწიფოებს აკისრებს გარკვეულ დაუყოვნებლად შესასრულებელ ვალდებულებებს.⁴⁹ სწორედ ამგვარი ვალდებულებები უკავშირდება სოციალური დაცვის უფლებას, კერძოდ, გარანტირება, რომ აღნიშნული უფლება განხორციელდება ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე და ვალდებულება, რომ გადაიდგას ნაბიჯები ცხოვრების სათანადო დონეზე უფლებისა და ჯანმრთელობის უფლების სრული რეალიზაციისთვის.⁵⁰ აღნიშნული გამომდინარეობს სოციალური უზრუნველყოფის ფუნდამენტური მნიშვნელობიდან ადამიანის ღირსებისთვის.⁵¹

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად, არ უნდა შეიზღუდოს სოციალურ სესხებზე ხელმისაწვდომობა, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მომხმარებლები სოციალურ სესხებს, ძირითადად, იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტების შესაძენად იყენებენ, რომელთათვისაც სხვადასხვა სახელმწიფო გასაცემელი საკმარისი არ არის. ამასთან, აღნიშნული შესაძლებლობის მოსპობის შემთხვევაში, სოციალური სესხებით მოსარგებლე ძირითად სეგმენტს, საპენსიო ასაკის მოსახლეობას, შესაძლოა, სრულად შეეზღუდოს წვდომა სასესხო პროდუქტებზე იმდენად, რამდენადაც საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები მათი გაცემის კრიტერიუმად განსაზღვრავენ ასაკს, რომლის მიღმა, პირს შესაბამისი მომსახურების გაწევაზე შაბლონურად ეუბნებიან უარს, რაც, სახალხო დამცველს, ასევე, დისკრიმინაციულად აქვს შეფასებული.⁵²

გარდა ამისა, სახალხო დამცველი დაუშვებლად მიიჩნევს, გატარებული ღონისძიებების შედეგად, რაიმე ფორმით შესუსტდეს ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების⁵³ დანართი №1-ით დანერგილი დაცვის მექანიზმი, რომლის თანახმადაც, 1000 ლარზე ნაკლები ყოველთვიური წმინდა შემოსავლის შემთხვევაში, სესხის (ლარით) მომსახურების მაქსიმალურ კოეფიციენტად განსაზღვრულია 25%. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება სესხის დასაფარად ყოველთვიურად მიექცეს ბენეფიციარების ანგარიშზე ჩარიცხული თანხის კიდევ უფრო დიდი ნაწილი. მუდმივად უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, რომ სოციალური დახმარების ოდენობა წარმოადგენს თავად სოციალური დახმარებისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებით სარგებლობის პრაქტიკულ შინაარსს. ვინაიდან პირს აქვს სოციალური უზრუნველყოფისა და

⁴⁸ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 1994 წლის 24 თებერვლის NC-343/92 გადაწყვეტილება საქმეზე: *M. A. De Weerd, née Roks, and Others v. Bestuur van de Bedrijfsvereniging voor de Gezondheid, Geestelijke en Maatschappelijke Belangen and Others*, პარ. 35.

⁴⁹ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N19 (2007), სოციალური უზრუნველყოფის უფლება, E/C.12/GC/19, პარ. 40.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე, პარ. 41.

⁵² იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიმართ, ხელმისაწვდომია: < <https://ombudsman.ge/res/docs/2021071312322469117.pdf> >.

⁵³ „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის N44/04 ბრძანება.

დახმარების უფლებები, მათ უნდა ჰქონდეს რეალური შინაარსი. თუ სახელმწიფოს დახმარების შედეგად პირისთვის პრაქტიკულად არაფერი იცვლება და ის არსებობის ელემენტარულ დონეს ვერ აღწევს, უფლება არარეალიზებადი დარჩება.⁵⁴

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს ზოგიერთი სახელმწიფო გასაცემლის დარიგების/გაცემის მიზნით საბანკო მომსახურების პირობების განსაზღვრის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორს და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს მიმართავს ზოგადი წინადადებით,

- სს „ლიბერთი ბანკთან“ აქტიური თანამშრომლობით, სიღრმისეულად შეისწავლონ სოციალური სესხების საპროცენტო განაკვეთის ოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორები, მისი შემცირების ხელის შეშლელი მიზეზები და ამ გზით იდენტიფიცირებული საფუძვლების აღმოფხვრის მიზნით, შეიტანონ სპეციალური დებულებები ზოგიერთი სახელმწიფო გასაცემლის დარიგების/გაცემის მიზნით საბანკო მომსახურების პირობებში.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქეთევან ერემადის და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი, პარ. 14.